საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030182134004320

№ 01-280/ო **22 / ივნისი / 2020 წ.**

საქართველოში ახალი კორონა ვირუსის (COVID -19) გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისა და მართვის მიზნით შესაბამისი ლაბორატორიული სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებებზე დროებითი საგამონაკლისო ღონისძიებების გატარების თაობაზე

„მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 ნოემბრის №359 დადგენილებით დამტკიცებული „მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ო“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ახალი კორონა ვირუსის (COVID -19) გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების კონტროლის, რეაგირებისა და მზადყოფნის უზრუნველყოფის მიზნით, დროებითი ღონისძიების სახით, „მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 ნოემბრის № 359 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებისგან გათავისუფლდეს, ლაბორატორიული მომსახურების (ლაბორატორიული სერვისის მიმწოდებელი, რომელიც ახორციელებს ადამიანის ბიოლოგიური მასალის ლაბორატორიულ დიაგნოსტიკას), კერძოდ, მოლეკულური დიაგნოსტიკის ლაბორატორიული სერვისის შემდეგი მიმწოდებლები:

ა) სსიპ - სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია, მისამართი: ქ. თბილისი, ვ. გოძიაშვილის ქ. 49;

ბ) სსიპ - სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია, ქუთაისის ზონალური დიაგნოსტიკური ლაბორატორია (ზდლ), მისამართი: ქ. ქუთაისი, ნიკეას მე-3 ჩიხი №5;

გ) სსიპ - სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია, ახალციხის ზონალური დიაგნოსტიკური ლაბორატორია (ზდლ), მისამართი: ქ. ახალციხე, ახალციხე-ახალქალაქის გზატკეცილი.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და გავრცელდეს 2020 წლის 1 აპრილიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე